

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს
სხდომის ოქმი №12

ქ. თბილისი

14.12.2015

სხდომას ესწრებოდნენ:

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში - საბჭო) წევრები:

მანანა მიქაბერიძე - სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის მოადგილე, საბჭოს თავმჯდომარე;

ანანო გიორგაძე - სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მაგისტრანტი, საბჭოს სხდომის მდივანი;
თამარ ზარანდია - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დეკანის მოადგილე, ასოცირებული პროფესორი;

კონსტანტინე სირბილაძე - სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი;

გრიგოლ მურდულია - განათლების ექსპერტი;

ნინო ჩინჩალაძე - ა(ა)იპ - ფონდი „საერთაშორისო განათლების ცენტრის“ აღმასრულებელი დირექტორი;

მარიამ ჯაში - ა(ა)იპ - საქართველოს სოლიდარობის ფონდის აღმასრულებელი დირექტორი.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:

თამარ ზაალიშვილი - დირექტორის მოადგილე;

ლაშა მარგიშვილი - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;

ლევან მადათოვი - შესაბამისობის შეფასების და მონიტორინგის სამმართველოს უფროსი;

თამთა კობახიძე - განვითარების სამმართველოს უფროსი;

ქეთევან ბექერ - საერთაშორისო აკრედიტაციისა და ავტორიზაციის სამმართველოს კოორდინატორი;

ანა ლელაძე - საერთაშორისო აკრედიტაციისა და ავტორიზაციის სამმართველოს სპეციალისტი;

თამარ შენგელია - შესაბამისობის შეფასებისა და მონიტორინგის სამმართველოს სპეციალისტი.

საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები:

1. სოლომონ პავლიაშვილი - შპს თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის რექტორი;
2. დავით გუბელაძე - შპს თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი;
3. რევაზ ხოფერია - შპს თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
4. მარინა ქარჩავა - შპს თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის პრორექტორი;
5. გრიგოლ სულაბერიძე - ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმინდა თამარ მეფის სახელობის უნივერსიტეტის ხარისხის სამსახურის ხელმძღვანელი;
6. ლაშა ჩეკურიშვილი - საქართველოს საპატრიარქოს განათლების კომიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კურატორი; ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმინდა თამარ მეფის სახელობის უნივერსიტეტის წარმომადგენელი; ა(ა)იპ - ახალი საქართველოს უნივერსიტეტის წარმომადგენელი; ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს ახალციხის წმინდა გრიგოლ ხანძთელის

სახელობის სასულიერო სემინარიის წარმომადგენელი.

ავტორიზაციის ექსპერტები (შემდგომში - ექსპერტები):

მარინა გედევანიშვილი;
რევაზ ხოფერია;
ქეთევან ცეცხლაძე;
თამარ შუდრა;
დავით კუპატაძე;
გიორგი რამიშვილი;
თამარ გაიხარაშვილი;
ნინო ჩიხლაძე;
მარიამ დარბაიძე;
ანა კლდიაშვილი;
ეკატერინე გიგაშვილი.

საბჭოს თავმჯდომარემ სხდომა გახსნა 15:47 სთ-ზე, შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრების რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 22-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.

თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა დებულების 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის მოთხოვნა, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგი:

1. შპს თბილისის სასწავლო უნივერსიტეტისათვის უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დამატების საკითხის განხილვა;
2. შპს თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტისათვის სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის საკითხის განხილვა;
3. ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმინდა თამარ მეფის სახელობის უნივერსიტეტის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
4. ა(ა)იპ - ახალი საქართველოს უნივერსიტეტის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
5. ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს ახალციხის წმინდა გრიგოლ ხანძთელის სახელობის სასულიერო სემინარიის ავტორიზაციის საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს მიმართა, დღის წესრიგთან დაკავშირებით ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა.

შუამდგომლობა არ იქნა წარმოდგენილი. შესაბამისად, საბჭოს წევრებმა წარმოდგენილი სახით ერთხმად დაამტკიცეს სხდომის დღის წესრიგი.



1. შპს თბილისის სასწავლო უნივერსიტეტისათვის უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დამატების საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასების ანგარიშსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების ანგარიში და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს წინაშე წარადგინეს მარინა გედევანიშვილმა და რევაზ ხოფერიამ. მარინა გედევანიშვილის განცხადებით, დაწესებულებამ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების თვითშეფასების წლიურ ანგარიშში გამოხატა ბიზნესის ადმინისტრირების ინგლისურენოვანი საბაკალავრო პროგრამის დამატების სურვილი. მისი თქმით, დასკვნაში დაფიქსირებული იყო შემდეგი გარემოებები:

1. საგანმანათლებლო პროგრამებთან მიმართებით:

1.1. პროგრამაზე მიღების წინაპირობებში დაკონკრეტებული არ იყო ეროვნულ გამოცდაზე მისაღები ინგლისური ენის ქულა (Student of a bachelor program of business administration of TTU can become anyone with secondary education or with relevant document, who registers for national examination center and: Passes exams according to the competitive exam program volume in General Skills, English, Georgian language, Mathematics and on the basis of the ranking of collected points will get the right to study in Tbilisi Teaching University Ltd) ექსპერტთა აზრით, მინიმალური ქულის მქონე სტუდენტს გაუჭირდებოდა იმ სავალდებულო ლიტერატურის ათვისება, რომელიც პირველივე სემესტრის სასწავლო კურსების ფარგლებში იყო გათვალისწინებული. ვიზიტის დროს, 2015 წლის 6 ოქტომბერს, დაწესებულებამ აკადემიური საბჭოს სხდომაზე ცვლილება შეიტანა „შპს თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში“ და პროგრამაზე მიღების წინაპირობად ინგლისურ ენაში 70 ქულა განსაზღვრა;

1.2. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული პროგრამაზე მიღების დამატებითი პირობა, კერძოდ, ერთიანი ეროვნული გამოცდების გარეშე დაწესებულებაში ჩარიცხვის შესაძლებლობა. ამ წინაპირობის მიხედვით, „the rules of mobility also can use the students, which were lived in a foreign country during recent 2 or more years and studied in a foreign country in the University recognized by this county's legislation.“ აღსანიშნავი იყო, რომ კანონმდებლობაში ეს ჩანაწერი აღარ არსებობდა და შესაბამისად ეს დათქმა არ შეიძლებოდა ყოფილიყო პროგრამაზე მიღების წინაპირობა;

1.3. პროგრამაში მითითებული იყო, რომ კურსდამთავრებული შეძლებდა დასაქმებას სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციებში. აღსანიშნავი იყო, რომ „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-15 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, სახელმწიფო მოხელედ შეიძლება მიღებულ ყოფილიყო საქართველოს ქმედუნარიანი მოქალაქე, რომელსაც ქონდა სათანადო ცოდნა და გამოცდილება, მიაღწია 21 წლის ასაკს და ფლობდა საქართველოს სახელმწიფო ენას. ამდენად, ჩანაწერი უცხო ქვეყნის მოქალაქე კურსდამთავრებულის შესაძლო დასაქმებასთან დაკავშირებით საჭიროებდა დაზუსტებას იმ მიზნით, რომ გამორიცხულიყო პროგრამით დაინტერესებული პირის შეცდომაში შეყვანა;

1.4. სწავლის გაგრძელების შესაძლებლობის ნაწილში ვკითხულობდით: „საინფორმაციო ტექნოლოგიებისა და ორი უცხო ენის საუკეთესო ცოდნა, აგრეთვე ბიზნეს ადმინისტრირების სფეროში ბაკალავრიატში მიღებული ფუნდამენტური განათლების გათვალისწინებით მიზანშეწონილი იქნებოდა მათ სწავლა გააგრძელებინათ შემდეგი მიმართულებების დარგების/სპეციალობებისა და ქვედარგის/სპეციალიზაციების მაგისტრატურაში: ბიზნესის ადმინისტრირების მიმართულების (02) მარკეტინგის (0202), მენეჯმენტის (0203) დარგის/სპეციალობის ყველა ქვედარგი/სპეციალიზაცია; სოციალური მეცნიერებების მიმართულების (07) ეკონომიკის (0701), საერთაშორისო ურთიერთობების (0705) და სოციოლოგიის (0706) დარგის/სპეციალობის ყველა ქვედარგი/სპეციალიზაცია; მიმართულებათაშორისი სოციალური მუშაობის (1107), საჯარო მმართველობის (1109) და ტურიზმის (1120) დარგი/სპეციალობა“;

1.5. გაურკვეველი იყო: ა) პროგრამის მიზანი, სტუდენტს მისცემოდა ბიზნეს კომპლექსური განათლება ბიზნეს ადმინისტრირების, მენეჯმენტის, მარკეტინგის, ფინანსების სფეროებში. პროგრამის სწავლის შედეგების მიხედვით, კურსდამთავრებული „ფლობს ბიზნესისა და მენეჯმენტის, მარკეტინგისა და ფინანსების საფუძვლებს, ბიზნეს-ორგანიზაციების მართვის თეორიებისა და კონცეფციების ძირითადი პრინციპებს“ (ცოდნა და გაცნობიერება), „კურსდამთავრებულს გამოუმუშავებული იქნებოდა ძირითადი ფინანსური უნარები: ანგარიშების მომზადების, ინტერპრეტაციისა და წარდგენაში მონაწილეობის მიღების უნარი, ფინანსური ინფორმაციის ანალიზის უნარი, ბიუჯეტის მომზადებაში მონაწილეობის მიღების უნარი“ (ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი). აღნიშნულიდან გამომდინარე, მიზანშეწონილი იქნებოდა სწავლის გაგრძელების შესაძლებლობებში მიეთითებულიყო, რომ კურსდამთავრებული შემდგომი განათლების მიღებას გარდა მენეჯმენტის და მარკეტინგისა, შეძლებდა ფინანსების სპეციალობითაც; ბ) საინფორმაციო ტექნოლოგიების, ორი უცხო ენისა და ბიზნეს ადმინისტრირების სფეროში ბაკალავრიატში მიღებული ფუნდამენტური განათლება ვერ უზრუნველყოფდა სტუდენტთა მომზადებას იმისათვის, რომ მათ სწავლა გაეგრძელებინათ საერთაშორისო ურთიერთობების, სოციოლოგიის, სოციალური მუშაობისა და საჯარო მმართველობის სპეციალობით. გამომდინარე იქიდან, რომ „უმაღლესი განათლების შესახებ“ კანონი ბაკალავრიატის კურსდამთავრებულს შესაძლებლობას აძლევდა შეეცვალათ სპეციალობა (თუ თავად სამაგისტრო პროგრამით რაიმე აკრძალავა არ იყო გათვალისწინებული), სასურველი იქნებოდა ან საერთოდ არ დაკონკრეტებულიყო მიმართულება, დარგი/სპეციალობა და ქვედარგი/სპეციალიზაცია, ან პროგრამაში გათვალისწინებული ყოფილიყო ისეთი სასწავლო კურსები, რომლებიც ელემენტარულ განათლებას მაინც მისცემდა ბაკალავრიატის კურსდამთავრებულს, რომ ზემოჩამოთვლილ სპეციალობებზე უპრობლემოდ შეეძლო მაგისტრატურაში სწავლის გაგრძელება. აღსანიშნავი იყო ისიც, რომ სტუდენტთა მომზადებას აღნიშნულ სპეციალობებზე სწავლის გასაგრძელებლად პროგრამის არც მიზანი ითვალისწინებდა და არც შედეგები;

1.6. ვინაიდან პროგრამის მიზანი სტუდენტებისთვის მენეჯმენტის, მარკეტინგისა და ფინანსების სფეროებში კომპლექსური განათლების მიცემა იყო ხოლო შედეგი - ფინანსური ანგარიშებისა და ბიუჯეტის მომზადებაში მონაწილეობა, ასევე ფინანსური ინფორმაციის ანალიზის უნარი, ვფიქრობთ აუცილებელი იყო სასწავლო კურსი „გადასახადები“ პროგრამაში შეთავაზებულ ყოფილიყო არა როგორც თავისუფალი კომპონენტი, რომელსაც სტუდენტი ან აირჩევდა ან არა, არამედ როგორც სავალდებულო სასწავლო კურსი;

1.7. სასურველი იყო დაზუსტებულიყო მე-17 კვირას შემაჯამებელი მეცადინეობა ტარდებოდა თუ კონსულტაცია, ვინაიდან შემაჯამებელი მეცადინეობა ყველა სტუდენტისთვის სავალდებულო იყო ხოლო კონსულტაცია - საჭიროებიდან გამომდინარე, ნებაყოფლობითი;

1.8. სილაბუსების მიხედვით დასკვნითი გამოცდა გათვალისწინებული იყო XVIII-XIX კვირას, ხოლო განმეორებითი გამოცდა 10 დღის შემდეგ, XX კვირის ბოლომდე. თუ სტუდენტი XIX კვირის ოთხშაბათიდან შაბათის ჩათვლით ჩატარებულ გამოცდაზე ჩაიჭრებოდა, ასეთ შემთხვევაში XX

კვირის ბოლომდე ის განმეორებით გამოცდაზე გასვლას ვერ შეძლებდა. ამიტომ სასურველი იყო გადახედულიყო დასკვნითი და განმეორებითი გამოცდების ჩატარების ვადები;

1.9. პროგრამით პირველ სემესტრში გათვალისწინებული იყო პროფესიული ინგლისური - 1-ის სწავლება, რომელსაც არა ქონდა წინაპირობა, მაშინ როცა სასწავლო კურსის მიზანში ვკითხულობდით: „სასწავლო კურსის მიზანია პროფესიული ინგლისური შეასწავლოს სტუდენტს, რომელსაც უკვე აქვს ზოგადი ინგლისურის ცოდნის საკმაოდ მაღალი დონე“, თუმცა, რომელი იყო ეს მაღალი დონე განმარტებული არ იყო. ამიტომ, სასურველი იქნებოდა პროფესიული ინგლისური - 1-ის წინაპირობაში განმარტებული ყოფილიყო ინგლისური ენის ფლობის დონე;

1.10. სასწავლო კურსებში მითითებული სწავლის შედეგები შესაბამისობაში უნდა ყოფილიყო მოყვანილი ეროვნულ საკვალიფიკაციო ჩარჩოსთან. მაგალითად: „ბუღალტერიის პრინციპები I“ (Principles of Accounting I) - ცოდნა და გაცნობიერებაში მითითებული იყო, რომ სწავლის შედეგი გახლდათ საბუღალტრო ტერმინოლოგიის გამოყენება (Ability to use accounting vocabulary), რაც არის ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი;

1.11. „ბიზნესის საფუძვლები“ (Business Basics) - სწავლის უნარში მითითებული იყო, რომ სტუდენტს უნდა ჰქონოდა ეფექტური ინდივიდუალური და ჯგუფური მუშაობის უნარები (Efficient individual, pair and group work skill). თუმცა, ეს გახლდათ არა სწავლის უნარი, არამედ კომუნიკაციის უნარი. ბუღალტერიის პრინციპები I სასწავლო კურსში ეს უნარი სწორად იყო მითითებული კომუნიკაციის უნარებში;

1.12. „სტრატეგიული მარკეტინგი“ (Strategic Marketing) - ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარში მითითებული იყო „მარკეტინგის კონტროლის საბაზო ცოდნა“ („Basic knowledge of marketing controlling“). გარდა ამისა, სწავლის უნარში მითითებული იყო „სტრატეგიული მარკეტინგის საბაზო ცოდნა“ („basic knowledge in strategic marketing“);

1.13. სასწავლო კურსის „Business Forecasting“-ის მიხედვით, სტუდენტი შეძლებდა დეტალური ანგარიშის მომზადებას და სპეციალისტებისა და არასპეციალისტებისთვის ქართულ და ინგლისურ ენაზე ინფორმაციის გადაცემას („Preparing detailed written reports of forecasting process management, mistakes and results, and communicating this information to specialists and non-specialists in Georgian and English languages“). ამ საგნის არჩევა შესაძლებელი იყო მე-5 სემესტრიდან. მე-4 სემესტრში უცხოელ სტუდენტებს გავლილი ექნებოდათ „ქართული ენა 2 (A2)“ და შეძლებდნენ ქართულ ენაზე მხოლოდ საბაზო მეტყველებას („Students will have basic ability of using basic strategies of speaking on Georgian language“);

1.14. სასწავლო კურსში „Organizational Behavior“ მითითებული იყო სწავლის შედეგები. თუმცა, ზოგიერთ შემთხვევაში, არასწორად. მაგალითად, სწავლის პრაქტიკაში გამოყენების უნარში მითითებული იყო „this course provides an integrated view embracing both theory and practice“. ამავე კურსის სწავლის შედეგებში, დასკვნის უნარში მითითებული იყო კომუნიკაციის უნარი „professional communication skills which is needed for employees and managers in organizations“, აგრეთვე „basic communication skill for business purposes“.

1.15. აუცილებელი გახლდათ ინგლისურ ენაზე ერთიანი ტერმინოლოგიის გამოყენება და, ზოგადად, ინგლისურენოვანი პროგრამისა და სილაბუსების სრულყოფა. კერძოდ, Business Law საგნის სილაბუსში დასკვნის უნარი მოცემული იყო როგორც „making judgements“, ხოლო Banking Management-ში „ability to make conclusions“;

1.16. პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კურსების მოცულობა სტანდარტულად გახლდათ 5-კრედიტიანი. არსებითად მსგავსი იყო სტუდენტის შეფასების მეთოდები და კრიტერიუმებიც. მიზანშეწონილი იქნებოდა სასწავლო კურსების კრედიტების რაოდენობა, სტუდენტის შეფასების მეთოდები და კრიტერიუმები განსაზღვრულიყო საგნის მოცულობისა და სპეციფიკის გათვალისწინებით; ხარვეზიანი გახლდათ პროგრამაზე თანდართული სასწავლო გეგმა.

Handwritten signature

კერძოდ, კრედიტების გრაფაში მითითებული იყო საათების სრული რაოდენობა. ეს შეცდომა დაშვებული იყო სავალდებულო, არჩევით სასწავლო კურსებთან და უცხო ენებთან მიმართებაში. თითქმის ყველა სილაბუსში გვხვდებოდა იდენტური შეცდომა შუალედური გამოცდის შეფასებასთან დაკავშირებით;

1.17. ჩანაწერიდან ჩანდა, რომ საგამოცდო ბილეთი მოიცავს 10 ტესტურ დავალებას და ორ თეორიულ საკითხს; ტესტური დავალების შეფასება: თითოეული სწორად ამოხსნილი ტესტი - ფასდებოდა 1 ქულით, არასწორი - 0 ქულით. თითოეული დავალება ფასდებოდა მაქსიმუმ 5 ქულით შემდეგი კრიტერიუმებით: დავალების პირობის ადეკვატური გაგება და გააზრება - მაქს. 1 ქულა; ლოგიკური მსჯელობა, არგუმენტაცია და დასკვნის გაკეთება - მაქს. 2 ქულა; სტრატეგიული პრობლემის გადაწყვეტა - 1 ქულა; თეორიული ცოდნის გამოყენება პრაქტიკული ამოცანის გადასაწყვეტად - 1 ქულა. ეს რეალურად იყო არა ისევ დავალების შეფასება, არამედ 5 ქულიანი თეორიული საკითხის შეფასება.

2. ადამიანურ რესურსთან მიმართებით:

2.1 პროგრამის განხორციელებაში მონაწილეობდნენ ისეთი ლექტორებიც, რომლებიც პირველად ამ პროგრამაში წაიკითხავდნენ ისეთ სასწავლო კურსს/კურსებს, რომლის წაკითხვის გამოცდილება ან შრომები კონკრეტული დარგის ფარგლებში არა ჰქონდათ. მაგალითად, ასისტენტი ნათია ქოიავა, სპეციალობით მთარგმნელ - რეფერენტი, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა მაგისტრი, საჯარო მმართველობის დოქტორანტი - კითხულობდა სასწავლო კურსებს: „მენეჯმენტის საფუძვლები“; „ადამიანური რესურსების მართვა“; „ბიზნეს კომუნიკაციები“; „ორგანიზაციული ქცევა“. ასოცირებული პროფესორი ვახტანგ როდონაია, ეკონომიკური ინფორმატიკის ბაკალავრი, კომპიუტერული ტექნოლოგიების მაგისტრი, ინჟინერიის დოქტორი, „შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტში“ ასწავლიდა „საინფორმაციო ტექნოლოგიებს“ - კითხულობდა „წარმოებისა და ოპერაციების მართვას“; ასოცირებული პროფესორი ოთარ ბაღათურია, დიპლომატიისა და საერთაშორისო ურთიერთობების ბაკალავრი, დიპლომატიისა და საერთაშორისო ურთიერთობების მაგისტრი, სოციალურ მეცნიერებათა დოქტორი - კითხულობდა „საერთაშორისო ეკონომიკას“; „საერთაშორისო ბიზნესის მენეჯმენტს“ (შრომები აქვს); გარდა ამისა, კითხულობდა „მსოფლიო ცივილიზაციის ისტორიას“ და „საქართველოს ცივილიზაციის ისტორიას“ (შრომები ამ სფეროში არა აქვს); ასოცირებული პროფესორი კონსტანტინე ბზიავა, ინჟინერ-ჰიდროტექნიკოსი, ტექნიკის მეცნიერებათა აკადემიური დოქტორი - კითხულობდა „მიკროეკონომიკის პრინციპებს“, შრომები ჰქონდა წყლის რესურსებზე და სოფლის მეურნეობის საკითხებზე; ასოცირებული პროფესორი ხათუნა ჩაფიჩაძე - პოლიტოლოგიის ბაკალავრი, პოლიტიკური მეცნიერების მაგისტრი, სოციალური მეცნიერებების დოქტორი - კითხულობდა „საერთაშორისო ეკონომიკას“, შრომები ჰქონდა ძირითადად ნეოლიბერალიზმზე.

საბჭოს თავმჯდომარემ საკუთარი მოსაზრების გამოთქმის შესაძლებლობა მისცა დაწესებულების წარმომადგენლებს.

დაინტერესებულ მხარეებად საბჭოს წინაშე წარდგნენ დაწესებულების რექტორი, სოლომონ პავლიაშვილი და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, დავით გუბელაძე.

დაწესებულების რექტორმა განაცხადა, რომ მაქსიმალურად ეცადნენ გაეთვალისწინებინათ ყველა რეკომენდაცია, პროგრამის შექმნის მოტივაცია მოდიოდა იქედან, რომ მიმდინარე წელს დაწესებულება აღიარებულ იქნა ირანის განათლების სამინისტროს მიერ, რამაც განაპირობა ინგლისურენოვანი პროგრამის შექმნის აუცილებლობა. პროგრამა ჩართული გახლდათ erasmus+ -ში და გაფორმებული ჰქონდათ მემორანდუმები და ხელშეკრულებები სხვადასხვა ქვეყნების უნივერსიტეტებთან (მაგ: პოლონეთის უნივერსიტეტი), რაც ასევე ხელს შეუწყობდა მოცემული პროგრამის ფარგლებში სტუდენტთა გაცვლითი პროგრამების განხორციელებას. რაც შეეხებოდა უშუალოდ რეკომენდაციებს, ერთ-ერთი რეკომენდაცია რომელიც, ეხებოდა სწავლის გაგრძელებას, არსებობდა ჩანაწერი რომელიც გულისხმობდა რომ მიზანშეწონილი გახლდათ სწავლის გაგრძელება დარგების, ქვედარგების და მიმართულების სპეციალობით მაგისტრატურაში, ეს გახლდათ

2. 2/1/14

სარეკომენდაციო ხასიათის ჩანაწერი და მას არ ჰქონდა დირექტივის ხასიათი. რაც შეეხებოდა სოციალურ მიმართულებებს, ჩადებული იყო გარკვეული კონცენტრაციები თუმცა რეკომენდაციების შემდგომ მოხსნილი იქნა პროგრამიდან. საგადასახადო დისციპლინას ძირითად მოდულში ჩაიდო ისეთი საგნები როგორც გახლდათ ბუღალტერიის საფუძვლები, ფინანსური მენეჯმენტი, რომელიც მოიცავდა გადასახადების გარკვეულ თემატიკას და ასევე თავისუფალ კომპონენტში მოხდა გადასახადების ჩადება, რაც საშუალებას მისცემდა სტუდენტს არჩევანის საშუალებას. გათვალისწინებულ იქნა რეკომენდაცია შემაჯამებელ მეცადინეობასთან დაკავშირებით და შეიცვალა კონსულტაციით, რაც უფრო დაეხმარებოდა იმ სტუდენტს რომელმაც ვერ შეძლო პროგრამის ათვისება. აგრეთვე აღინიშნა რომ ტექნიკურ უზუსტობას ჰქონდა ადგილი კრედიტების მოცულობასთან დაკავშირებით და დაწესებულებას წარმოდგენილი ჰქონდა გასწორებული ვარიანტი. რაც შეეხებოდა აკადემიურ პერსონალს კონკურსის წესით არჩეულ იქნა ოთხი ასოცირებული და ერთი ასისტენტ - პროფესორი, ნათია ქოიავა რომელიც მითითებული გახლდათ როგორც დოქტორანტი, დღევანდელი მონაცემებით იყო უკვე საჯარო მმართველობის დოქტორი, თუმცა პროგრამის გაძლიერების მიზნით მოხდა მისი ჩანაცვლება სხვა აკადემიური პერსონალით.

საბჭოს წევრი, თამარ ზარანდია დაინტერესდა უცხოელ სტუდენტებთან დაკავშირებით როგორ იღებდნენ მათ, რა იყო ჩადებული მიღების წინაპირობაში.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა რომ მათ უტარდებოდათ ტესტირება, რაც გაწერილი იყო მარეგულირებელ წესში. ასევე, დაწესებულებას ჰქონდა ქართულ ენაში მომზადების 60 კრედიტიანი პროგრამა და თუ მას ექნებოდა სურვილი გაივლიდა შემდგომში აღნიშნულ პროგრამას.

ექსპერტმა, მარინა გედევანიშვილმა დაამატა რომ დასაქმების სფერო გაწერილი იყო სარეკომენდაციო ხასიათის, რაც არ გახლდათ სწორი ვინაიდან მისი აზრით პროგრამაში ყველაფერი გაწერილი უნდა ყოფილიყო დეტალურად რაც სტუდენტს მისცემდა სრული ინფორმაციის მიღების საშუალებას. რაც შეეხებოდა ნათია ქოიავას, რომელიც არჩეული იყო ასისტენტად გამომდინარე იქედან, რომ იგი გახლდათ დოქტორანტი ხოლო მან დაიცვა სადოქტორო ვიზიტის განხორციელების შემდგომ და შესაბამისად, ჩანაწერს იმასთან დაკავშირებით რომ მან მიიღო დოქტორის ხარისხი ექსპერტები ვერ ნახავდნენ. შესაბამისად, ნათია ქოიავას უნდა გამოცხადებოდა კონკურსი და არჩეული ყოფილიყო ხელახლა. რაც შეეხებოდა გადასახადებს უმჯობესი იქნებოდა ფინანსისტს მეტი დოზით ესწავლა გადასახადები, ხოლო ბუღალტერია ესწავლებინათ ბუღალტერიის საფუძვლებში.

საბჭოს წევრმა, მარიამ ჯაშმა განაცხადა რომ მიესალმებოდა და სასურველი იქნებოდა დეტალური პასუხების წარმოდგენა რეკომენდაციებზე, თავად რეკომენდაციები შესაძლებელია ყოფილიყო სამსჯელო მაგ: საჯარო მმართველობის დოქტორანტს, რომ ჰქონოდა სწავლების განხორციელების საშუალება ეს არ იყო დაბრკოლება, ხოლო რაც შეეხებოდა პროგრამას სასურველი იქნებოდა, თუ მეტი ყურადღება დაეთმოდა პროგრამის შინაარსის შეფასებას.

ექსპერტმა, მარინა გედევანიშვილმა განაცხადა რომ პროგრამის დამატება ხდებოდა თვითშეფასების ანგარიშით, ექსპერტებს მისი შემოწმება უხდებოდათ ორმაგი სტანდარტით. ექსპერტებმა იციან რა წერია შინაარსში თუმცა ავტორიზაციის სტანდარტი ამის დაფიქსირების საშუალებას არ იძლევა, სასურველი იქნებოდა თუ გაუქმდებოდა იმის საშუალება რომ ავტორიზაციის თვითშეფასებით შეეძლოს დაწესებულებას დაიმატოს პროგრამა. სასურველი იქნებოდა თუ სავალდებულო გახდებოდა პროგრამის აკრედიტაცია.

საბჭოს წევრი, თამარ ზარანდია დაინტერესდა რამდენად ჰქონდა აკადემიურ პერსონალს ინგლისურად ლექციის წარმართვის კომპეტენცია.

ექსპერტმა, მარინა გედევანიშვილმა განაცხადა, რომ აკადემიური პერსონალის ინგლისური ენის კომპეტენცია მოწმდებოდა შესაბამისი დოკუმენტაციით.

საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა, თუ როგორ უზრუნველყოფდა დაწესებულება აკადემიური პერსონალის მდგრადობას.

დაწესებულების წარმომადგენელმა განცხადა, რომ ქართულენოვანი პროგრამა ხორციელდებოდა 18 წლის გამწვანებაში და აკადემიური პერსონალი ხანგრძლივი დროის მანძილზე თანამშრომლობდა მათთან. დაწესებულება ელოდებოდა პროგრამის ამოქმედებას.

საბჭოს წევრმა, გრიგოლ მურდულიამ განაცხადა, რომ შენიშვნები რომელიც იქნა საბჭოზე წარმოდგენილი გათვალისწინებული იყო პოსტ-ფაქტუმ, მისი აზრით ყველა შენიშვნაზე არ იქნა გაცემული პასუხები, კერძოდ პუნქტი სადაც აღნიშნული გახლდათ, რომ ბაკალავრიატში მიღებული განათლება ვერ უზრუნველყოფდა შემდგომში სწავლის გაგრძელების შესაძლებლობას და ასევე ინგლისური ენის წინაპირობასთან დაკავშირებით და პუნქტი სადაც აღრეული იყო სწავლის შედეგების და კომუნიკაციის საკითხი.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ყველა შენიშვნა და რეკომენდაცია იყო გათვალისწინებული. შესაბამისად, მისი განმარტებით, რიგი საკითხები ამოღებულ იქნა პროგრამიდან და ამის გადამოწმება იყო შესაძლებელი.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს თბილისის სასწავლო უნივერსიტეტისათვის ბიზნესის ადმინისტრირების ინგლისურენოვანი საბაკალავრო პროგრამის დამატების საკითხის განხილვა.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 6

წინააღმდეგი - 1

გადაწყვეტილებას მხარი არ დაუჭირა თამარ ზარანდიამ.

გადაწყვეტილება:

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 30¹ მე-3 პუნქტის შესაბამისად, შპს თბილისის სასწავლო უნივერსიტეტს (საიდენტიფიკაციო კოდი: 211356414) მიენიჭოს უფლებამოსილება დამატებით განახორციელოს შემდეგი აკადემიური უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა.

აკადემიური უმაღლესი განათლების საფეხური	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება დარგის/სპეციალობის ან ქვედარგის/სპეციალიზაციის მითითებით	მისანიჭებელი კვალიფიკაცია
ბაკალავრიატი	ბიზნესის ადმინისტრირება (ინგლისურენოვანი)	ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი

საბჭოს წევრმა, მარიამ ჯაშმა 16:15 საათზე დატოვა საბჭოს სხდომა.

2. შპს თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტისათვის სტუდენტთა ზღვრული ოდენობის განსაზღვრის საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ განაცხადსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - განაცხადი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს წინაშე წარადგინეს ავტორიზაციის ექსპერტებმა ქეთევან ცეცხლაძემ, დავით კუპატაძემ და თამარ შუდრამ. დასკვნაში დაფიქსირებული იყო შემდეგი გარემოებები:

1. მატერიალურ რესურსთან მიმართებით:

1.1 აღსანიშნავი იყო რომ, სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში დაწესებულების მიერ წარდგენილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ 2015 წლის 7 ოქტომბრის 04/10-10 წერილში (ცენტრში რეგისტრაციის ნომ. 1042913 09.10.2015) მითითებული იყო, რომ დაწესებულება ფლობდა 22778 კვ.მ ფართს, თუმცა 2015 წლის 13 ოქტომბერს დადებული იჯარის ხელშეკრულების საფუძველზე, დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში იმყოფებოდა 22694 კვ.მ ფართი. დაწესებულების წარმომადგენლის განცხადებით, იჯარის ხელშეკრულების დადების ეტაპზე მოხდა ფართების განსხვავებული გადანაწილება შპს „თბილისის თავისუფალ უნივერსიტეტსა“ და ა(ა)იპ - საქართველოს აგრარულ უნივერსიტეტს შორის;

1.2 ასევე დაწესებულების ბიბლიოთეკა გაყოფილი იყო ორ ნაწილად. ცალკე ფართი ჰქონდა დათმობილი შპს „თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის“ წიგნად ფონდს და სამკითხველო დარბაზს, ხოლო ცალკე იყო გამოყოფილი ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის სამკითხველო დარბაზი. შპს „თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის“ სამკითხველო დარბაზში განთავსებული იყო 26 ცალი, ერთკაციანი სამკითხველო მაგიდა და 1 ორკაციანი სამკითხველო მაგიდა, რაც არ იქნებოდა საკმარისი სტუდენტთა რაოდენობის 3000 სტუდენტამდე გაზრდის შემთხვევაში. თუმცა დაწესებულების წარმომადგენლის განცხადებით, საჭიროების შემთხვევაში, სტუდენტებს შესაძლებლობა ექნებოდათ ესარგებლათ ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის სამკითხველო დარბაზით.

2. ადამიანურ რესურსთან მიმართებით:

2.1 აღსანიშნავი იყო რომ, შპს „თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის“ ასოცირებული პროფესორი გიორგი ჯუღელი საგანმანათლებლო დაწესებულებების რეესტრის 2015 წლის 17 ნოემბრის მონაცემების შესაბამისად იყო შპს „აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის“, შპს „ევროპის სასწავლო უნივერსიტეტის“, შპს „კავკასიის უნივერსიტეტის“ და ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის 99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-11 მუხლის „ბ“ პუნქტის შესაბამისად, ავტორიზაციის მიზნებისათვის“, ასოცირებული პროფესორი ეთველებოდა მხოლოდ ორ დაწესებულებას პროფესორის არჩევით. დაწესებულებას სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში კონტიგენტის გაზრდის მოთხოვნის განაცხადის შეტანისას და არც ვიზიტის პროცესში არ ჰქონდა წარმოდგენილი

ბ-ნი გიორგი ჯუღელის განაცხადი ავტორიზაციის მიზნებისათვის შპს „თბილისის თავისუფალ უნივერსიტეტში“ მისი ასოცირების შესახებ;

2.2 შპს „თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტი“ ახორციელებდა სულ 17 საგანმანათლებლო პროგრამას და მას სამივე საფეხურზე ჰყავდა 1777 აქტიური სტუდენტი და 41 აკადემიური პერსონალი (პროფესორი და ასოცირებული პროფესორი). საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის 99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-11 მუხლის „გ“ პუნქტის „გ.გ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, დაწესებულებაში სტუდენტთა და აკადემიური პერსონალის თანაფარდობა განისაზღვრებოდა დაწესებულების სახის მიხედვით: უნივერსიტეტში - არა უმეტეს 11 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში მინიმუმ ერთი სრული ან ასოცირებული პროფესორი 50 სტუდენტზე, 12-იდან 24 საგანმანათლებლო პროგრამამდე განხორციელების შემთხვევაში - მინიმუმ ერთი სრული ან ასოცირებული პროფესორი 60 სტუდენტზე. ზემოაღნიშნული თანაფარდობის შესაბამისად, 3000 სტუდენტის ზღვრული ოდენობის დადგენის შემთხვევაში 1 პროფესორს ან ასოცირებულ პროფესორს შეესაბამებოდა 73 სტუდენტი, რაც არ მოდიოდა შესაბამისობაში ავტორიზაციის ზემოაღნიშნულ სტანდარტთან;

2.3 აღსანიშნავი იყო რომ, შპს „თბილისის თავისუფალ უნივერსიტეტში“ აკადემიური თანამდებობის დაკავების შესახებ კანცლერის 2015 წლის 31 აგვისტოს 03/08-22 ბრძანების პირველი და 1.1 პუნქტის თანახმად, პროფესორის, ასოცირებული პროფესორის და ასისტენტ პროფესორის თანამდებობაზე კანდიდატები დანიშნული იყვნენ 2 წლის ვადით. შესაბამისად, შრომითი ხელშეკრულებები გაფორმებული იყო 2 წლის ვადით, რაც ეწინააღმდეგებოდა შპს „თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის“ პერსონალის შერჩევის წესის მე-2 მუხლის მე-3 პუნქტს, ასევე შეუსაბამობაში მოდიოდა უმაღლესი განათლების შესახებ კანონის 35-ე მუხლის მე-3 პუნქტთან, რომლის თანახმად: „ასისტენტ-პროფესორის თანამდებობაზე უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წესდებით განსაზღვრული წესით შეიძლება არჩეულ იქნეს დოქტორის აკადემიური ან მასთან გათანაბრებული ხარისხის მქონე პირი 3 ან 4 წლის ვადით“.

ექსპერტმა, ქეთევან ცეცხლაძემ ზემოაღნიშნულთან დაკავშირებით გაახმოვანა დასკვნაში მითითებული შემდეგი გარემოება, კერძოდ: ვიზიტის დასრულებამდე დაწესებულებამ წარმოადგინა კანცლერის 2015 წლის 31 აგვისტოს 03/08-22 ბრძანების პირველ პუნქტში ცვლილების შეტანის შესახებ გამოცემული კანცლერის 2015 წლის 17 ნოემბრის 03/11-08 ბრძანება, სადაც შპს „თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის“ საკონკურსო კომისიის 2015 წლის 31 აგვისტოს გადაწყვეტილების საფუძველზე მითითებული 19 კანდიდატი 2015 წლის 1 სექტემბრიდან 3 წლის ვადით იქნა არჩეული აკადემიურ თანამდებობებზე. ექსპერტმა ჯგუფის მიერ დაწესებულების დატოვების შემდგომ, იმავე დღეს მისი წარმომადგენელი, ბატონი რევაზ ხოფერია დაუკავშირდა ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარეს და აღნიშნა, რომ სტუდენტთა რაოდენობის ამსახველ მათ მიერ დამოწმებულ დოკუმენტაციაში დაწესებულების მხრიდან შეტანილ იქნა ცვლილება. კერძოდ: დოქტორანტურის საფეხურზე 16 ოქტომბრის მონაცემებით დაფიქსირებული 8 აქტიური სტუდენტი, შეიცვალა 10-ით. ასევე, დაწესებულებამ მოამზადა კიდევ ერთი ცვლილების ბრძანება, რომელსაც შესაბამისი წესით გააცნობდა ექსპერტთა ჯგუფს. 17 ნოემბერს, ვიზიტის დასრულების შემდგომ დაწესებულების კანცლერის მინდობილმა პირმა ადმინისტრაციის კანცლერის 2015 წლის 31 აგვისტოს 03/08-22 ბრძანების 1.1 პუნქტში ცვლილების შეტანის შესახებ, სადაც შპს „თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის“ საკონკურსო კომისიის 2015 წლის 31 აგვისტოს გადაწყვეტილების საფუძველზე მითითებული 9 კანდიდატი 2015 წლის 1 სექტემბრიდან 3 წლის ვადით იყვნენ არჩეულნი აკადემიურ თანამდებობაზე. აღსანიშნავი იყო რომ, დაწესებულების მხრიდან ვიზიტის მიმდინარეობისას გამოსწორებული ხარვეზი, როემლიც დაფიქსირებული იყო კანცლერის 2015 წლის 31 აგვისტოს 03/08-

22 ბრძანებაში, საჭიროებდა შემდგომ რეაგირებას, რადგან კანცლერის ბრძანებით აკადემიურ თანამდებობაზე დანიშნულ პიროვნებებთან გაფორმებული იყო ხელშეკრულებები 2 წლის ვადით.

საბჭოს წევრი, ნინო ჩინჩალაძე დაინტერესდა ბიბლიოთეკის ფიზიკურად არსებობის გარდა ჰქონდათ თუ არა დაწესებულების სტუდენტებს ბიბლიოთეკის ელექტრონულ რესურსებთან წვდომის შესაძლებლობა.

საბჭოს თავმჯდომარემ საკუთარი მოსაზრების გამოთქმის შესაძლებლობა მისცა დაწესებულების წარმომადგენელს.

დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ ბიბლიოთეკა ფლობდა ელექტრონულ რესურსს. ამასთან, მან მიმართა კითხვით ექსპერტს და დაინტერესდა, თუ სტანდარტის რომელი მოთხოვნით ხელმძღვანელობდა ექსპერტი, როდესაც ბიბლიოთეკის ფართთან დაკავშირებით აღნიშნა.

ექსპერტმა განაცხადა, რომ ბიბლიოთეკის ფართის აღნიშვნა ეს არ გახლდათ შენიშვნა არამედ მას ჰქონდა რეკომენდაციის სახე. რაც გულისხმობდა, რომ უმჯობესი იქნებოდა ბიბლიოთეკა ყოფილიყო განთავსებული უფრო დიდი ფართში. კერძოდ, სამკითხველო დარბაზს შეეხებოდა ეს, მით უფრო რომ დაწესებულებას არ ჰქონდა ფართის პრობლემა.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა რომ მომავალ წელს დაწესებულებას არ ეყოლებოდა 2500 სტუდენტზე მეტი და დაწესებულებას ჰქონდა სრული რესურსი აღნიშნული რაოდენობის სტუდენტების დასაკმაყოფილებლად. 2013 წლიდან დაწესებულება ფუნქციონირებდა ახალ ფართზე, მოხდა ახალი პროგრამების დამატება, რაც საჭიროებდა სტუდენტთა კონტიგენტის გაზრდას. შესაბამისად, დაწესებულებამ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდა მოითხოვა 2520-ით.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტისათვის სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 2 520-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე- 6

წინააღმდეგი-0

გადაწყვეტილება:

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის 99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 33-ე მუხლის პირველი და მეორე პუნქტების „ბ“ ქვეპუნქტის, 33¹ მუხლის მე-3 პუნქტისა და 34-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, შპს თბილისის თავისუფალ უნივერსიტეტს (საიდენტიფიკაციო კოდი: 211359448) სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 2 520 - ით.

3. ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმინდა თამარ მეფის სახელობის უნივერსიტეტის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასების კითხვარსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების კითხვარი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს წინაშე წარადგინა ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ გიორგი რამიშვილმა და ექსპერტთა ჯგუფის წევრებმა, თამარ გაიხარაშვილმა, მარიამ დარბაიძემ და ნინო ჩიხლაძემ.

თამარ გაიხარაშვილის განცხადებით, დაწესებულების მიერ წარმოდგენილ იქნა 5 საბაკალავრო, 4 სამაგისტრო და 1 სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა.

ექსპერტმა აღნიშნა, რომ გადამოწმების შედეგად, გამოვლინდა შემდეგი გარემოებები:

1. საგანმანათლებლო პროგრამებთან მიმართებით:

1.1 ყველა საგანმანათლებლო პროგრამას აქვს მინაწერი „ვამტკიცებ“ დაწესებულების რექტორის ხელმოწერითა და ბეჭდით, თუმცა დაწესებულებაში არ არსებობს საგანმანათლებლო პროგრამის დამტკიცების შესახებ აქტი. დაწესებულების წესდებით განსაზღვრულია, რომ ფაკულტეტის უფლებამოსილებაა შესაბამისი პროგრამების შედგენა, რექტორის უფლებამოსილებაა საგანმანათლებლო პროგრამების დამტკიცება;

1.2 დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამებში, მიღების წინაპირობაში არსებობს ასეთი ჩანაწერი: (მაგალითად საექთნო საქმის საბაკალავრო პროგრამა) „ბაკალავრიატში სწავლის უფლება აქვს მხოლოდ სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო სერტიფიკატის მფლობელს ან მასთან გათანაბრებულ პირს. უნივერსიტეტის ფაკულტეტის ბაკალავრიატში მიღების, სწავლისა და ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მინიჭების წესი განისაზღვრება საქართველოს სახელმწიფოს ნორმატიული აქტებით, უნივერსიტეტის წესდებითა და მისი რექტორის ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტით.“ სასურველი იქნებოდა წინაპირობებში მითითებული ყოფილიყო უფრო გამჭვირვალე მიღების წინაპირობები (მაგალითად, ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩაბარება, მეოთხე არჩევითი საგან(ებ)ი);

1.3 საგანმანათლებლო პროგრამებში, ზოგიერთი სასწავლო კურსის სილაბუსების ძირითად ლიტერატურაში მითითებულია ინგლისური და რუსულენოვანი სახელმძღვანელოები, თუმცა პროგრამაზე მიღების წინაპირობაში არ არის მითითებული მოთხოვნა ინგლისური ან რუსული ენის ცოდნის შესახებ. მაგალითად: ფარმაციის საბაკალავრო პროგრამაში სასწავლო კურსები „მიკრობიოლოგია იმუნოლოგია ვირუსოლოგია 1,2,“, „სამედიცინო ფიზიკა, ბიოფიზიკა“, „წამალთა ტექნოლოგია 3“ და სხვა. შესაბამისად, ვერ ირკვევა თუ როგორ გამოყენებს სტუდენტი აღნიშნულ ლიტერატურას საგანმანათლებლო პროცესში;

1.4 სასწავლო კურსები: „საინფორმაციო ტექნოლოგიები“, „საინფორმაციო ტექნოლოგიები ფარმაციაში“, „საინფორმაციო ტექნოლოგიები სოციალურ მეცნიერებებში“ არის არჩევითი სტატუსის მქონე. შესაბამისად, სტუდენტი თუ არ აირჩევს აღნიშნულ სასწავლო კურსებს, მაშინ ის ვერ გავა კომუნიკაციის უნარზე, „საინფორმაციო ტექნოლოგიების შემოქმედებითად გამოყენების“ ნაწილში. ამ

საკითხთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ ყველა სტუდენტი მაინც გადის აღნიშნულ სასწავლო კურსს, რაც დაადასტურეს დაწესებულების სტუდენტებმაც;

1.5 საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგებში: მაგალითად, კომუნიკაციის უნარში აღნიშნულია შემდეგი: „შეუძლია დეტალური წერილობითი ანგარიშის მომზადება და ინფორმაციის სპეციალისტებისა და არა სპეციალისტებისათვის ზეპირად გადაცემა ქართულ და უცხოურ ენებზე, ასევე, ქართულ და ინგლისურ ენაზე ზეპირი და წერილობითი ფორმით კომუნიკაცია.“ ჩარიცხვის წინაპირობად არ არის მითითებული რომელიმე უცხო ენის სავალდებულო ცოდნა, შესაბამისად, გაუგებარია როგორ მიიღწევა ზემოთაღნიშნული კომპეტენცია. საგანმანათლებლო პროგრამები უცხო ენად სტუდენტებს სთავაზობს მხოლოდ „ინგლისური ენის“ სასწავლო კურსებს, მაშინ როდესაც შესაძლებელია ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგად სტუდენტს ჩაბარებული ჰქონდეს სხვა უცხოური ენა. საგანმანათლებლო პროგრამებში საუნივერსიტეტო სასწავლო კურსებში „ინგლისური ენა“ შეთავაზებულია სამი სემესტრის განმავლობაში (ინგლისური ენა 1,2,3, 2-2 კრედიტის მოცულობით თითო სასწავლო კურსი). სასწავლო კურსების „ინგლისური ენა 1,2,3“ სილაბუსებში სწავლის შედეგებში ასახულია შემდეგი: „ცოდნა და გაცნობიერება - (ინგლისური ენა 1-ის შედეგი) კურსის დასრულების შედეგად სტუდენტი შეძლებს დამოუკიდებლად ინგლისურად საუბარს კითხვა-პასუხის ფორმატში, შეძლებს ჩამოაყალიბოს თავისი აზრი.“ სახელმძღვანელოდ კი მითითებულია Outcomes-elementary Student's Book, რაც ნიშნავს რომ სტუდენტი იწყებს ენის სწავლას საწყისი დონიდან. სასწავლო კურსი „ინგლისური ენა 2“-ის შედეგში აღნიშნულია შემდეგი: „შეძლებს დამოუკიდებლად საუბარს და სამეცნიერო ლიტერატურის გაცნობას,თუმცა იგივე სახელმძღვანელოთი აგრძელებს სწავლას. სასწავლო კურსი „ინგლისური ენა 3“-ის სწავლის შედეგში აღნიშნულია შემდეგი: „სტუდენტს თავისუფლად შეუძლია სპეციფიური სამეცნიერო ლიტერატურის კითხვა და აზრის ზეპირად გადმოცემა ინგლისურ ენაზე“. სწავლის შედეგები გაწერილია ძალიან ზოგადად. ინგლისური ენის არცერთი სასწავლო კურსის სილაბუსში მითითებული არ არის „ენათა ფლობის ზოგადეფეროპული კომპეტენციების მიხედვით“ რა დონეს უნდა ფლობდეს სტუდენტი სასწავლო კურსის დასრულების შემდეგ. ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს უმაღლესი აკადემიური განათლების პირველი საფეხურის აღმწერის მიხედვით კომუნიკაციის უნარში კურსდამთავრებულს უნდა შეეძლოს: „უცხოურ ენაზე პროფესიასთან დაკავშირებული ინფორმაციის გადაცემა და ანგარიშის წარდგენა“. დაწესებულების მიერ წარმოდგენილ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამებში კომუნიკაციის უნარში სწავლის შედეგები ვერ მიიღწევა.

1.6 საგანმანათლებლო პროგრამები, რომლებიც ითვალისწინებს კლინიკურ სწავლებასა და პრაქტიკას კლინიკურ და ფარმაცევტულ დაწესებულებებში საჭიროებს სათანადო ბაზებს. დაწესებულებამ წარმოადგინა ხელშეკრულებები/მემორანდუმები: „საქართველოს საპატრიარქოს წმიდა იოაკიმესა და ანას სახელობის სამშობიარო სახლთან“ (30.12.2009 წელი, უვადო), „სსიპ-198 საჯარო სკოლა“ (17.11.2015, უვადო), ა(ა)იპ საქართველოს პროფესიული ინკლუზიური განათლების და განვითარების ასოციაციასთან (10.06.2015 წელი, უვადო);

1.7 დაწესებულებას ნორმატიულ აქტებში, საგანმანათლებლო პროგრამებსა და სასწავლო კურსების სილაბუსებში შეფასების სისტემა გაწერილი აქვთ მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით. თუმცა სტუდენტებთან, აკადემიურ პერსონალთან და კურსდამთავრებულთან ინტერვიუების შედეგად დადგინდა, რომ დასკვნით გამოცდაზე დაშვების წინაპირობა დარღვეულია. კერძოდ, სტუდენტს დასკვნით გამოცდაზე დასაშვებად სჭირდება მინიმუმ 31 ქულა. ყოველივე ეს წინააღმდეგობაში მოდის საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის N3 ბრძანებასთან „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ“;

1.8 სადოქტორო პროგრამაში – „მცენარეული წარმოშობის ბიოლოგიურად აქტიური ნაერთები ფარმაციაში“ მისანიჭებელი კვალიფიკაციაა: „ფარმაციის აკადემიური დოქტორი“. მოქმედი

კანონმდებლობის მიხედვით: „მესამე საფეხურის კვალიფიკაციის სახელწოდება მოიცავს ტერმინს - „დოქტორი“, მიმართულების ან/და დარგის/სპეციალობის მითითებით, შესაბამისად, სადოქტორო პროგრამის დასრულების შემდეგ მისანიჭებელი კვალიფიკაცია უნდა იყოს ფარმაციის დოქტორი. სადოქტორო პროგრამას არ ერთვის ყველა სასწავლო კომპონენტების სილაბუსები;

1.9 სასურველია, საგანმანათლებლო პროგრამებს დაერთოს სწავლის შედეგების რუკა, სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა და დასაქმების სფეროები;

1.10 უნივერსიტეტში, საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო ბადე ითვალისწინებს არჩევით სასწავლო კურსებს, თუმცა არცერთ სემესტრში არჩევითი კომპონენტის კრედიტების ოდენობა არ აღემატება შეთავაზებული არჩევითი სასწავლო კურსების კრედიტების ჯამს. სტუდენტი იძულებული ხდება აირჩიოს ყველა სასწავლო კურსი, რათა შეაგროვოს კურიკულუმით და საკანონმდებლო მოთხოვნით დადგენილი კრედიტების ოდენობა.

2. მატერიალურ რესურსთან მიმართებით:

2.1. საბიბლიოთეკო ფონდი მოიცავს 8752 ერთეულ საბიბლიოთეკო დოკუმენტს დიმიტრი უზნაძის ქ. 68 ფართზე და 20 000 წიგნს, რომლის დიდი ნაწილი ტომრებითაა დასაწყობებული სანდრო ეულის ქ. 3 შენობაში, სარემონტო ფართზე. აღნიშნული წიგნები არ არის აყვანილი დაწესებულების ბალანსზე;

2.2 დაწესებულებაში საქმის წარმოების წესს არეგულირებს წესდება. წესდებით განსაზღვრულია როგორ უნდა მოხდეს დოკუმენტბრუნვის ორგანიზაცია, დადგენილია დოკუმენტების შესრულების ვადები და შესრულებაზე კონტროლის ფორმები, მმართველობითი დოკუმენტების ინდივიდუალურ სამართლებრივი აქტის-ბრძანების, მითითების, ინსტრუქციის, ოქმის, წერილის შექმნისა და აღრიცხვის ასევე დაწესებულებიდან გასული დოკუმენტების დამუშავების, დოკუმენტების ოპერატიული შენახვის და საქმეთა ნომენკლატურის წესები. უნდა აღინიშნოს, რომ წესდებით დადგენილი არ არის და შესაბამისად დაწესებულებას არ აქვს წინასწარ დანომრილი და დალუქული შემოსული და გასული კორესპონდენციის, ასევე სამართლებრივი აქტების და საოქმო ჩანაწერების რეგისტრაციის ჟურნალები. ბრძანების წიგნს თავი აქვს დართული „Word“-ის დოკუმენტის სახით ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტების ჩამონათვალი თარიღებისა და ინდექსების მითითებით, თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ეს წიგნები არ არის აკინძული კალენდარული წლების მიხედვით. მაგალითად, 2014 წლის მაისი-დეკემბრიდან, 2015 წლის იანვარ-მაისამდე გამოცემული ბრძანებები ერთ დოკუმენტად არის აკინძული, შემოსული და გასული კორესპონდენციის წარმოება ხორციელდება მხოლოდ ელექტრონული წესით. წლის ბოლოს ხდება კორესპონდენციის დაარქივება კომპაქტ-დისკებზე.

მან ასევე აღნიშნა, რომ დაწესებულების ფინანსური ხასიათის დოკუმენტაცია ბუღალტრის მიერ სამაგალითოდ იყო მოწესრიგებული.

გიორგი რამიშვილმა აღნიშნა, რომ ადამიანურ რესურსთან მიმართებით ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში არ იყო დაფიქსირებული შენიშვნები და დაწესებულება აკმაყოფილებდა სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს. მან ასევე, აღნიშნა რომ დაწესებულების აკადემიური პერსონალი გამოირჩეოდა დიდი კვალიფიციურობითა და მრავალწლიანი გამოცდილებით. მათთან ინტერვიუებისას გამოჩნდა მათი ჩართულობის მაღალი ხარისხი საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების პროცესში.

საბჭოს თავმჯდომარემ საკუთარი მოსაზრების გამოთქმის შესაძლებლობა მისცა დაწესებულების წარმომადგენლებს.

დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, დაწესებულებამ გაითვალისწინა ექსპერტთა ჯგუფის მიერ დასკვნაში დაფიქსირებული შენიშვნები და რიგი მათგანი გამოასწორა უკვე. მისი თქმით, დაწესებულების რექტორს ჰქონდა უფლებამოსილება დაემტკიცებინა საგანმანათლებლო პროგრამები საქართველოს კანონმდებლობის თანახმად. ექსპერტთა ვიზიტის შემდეგ დაწესებულებამ დოკუმენტალურად გააფორმა ყველა არსებული მემორანდუმი. ცვლილებები შევიდა ასევე, სასწავლო

კურსების სილაბუსებში. ინგლისურ ენასთან მიმართებით დაფიქსირებული შენიშვნაც გამოსწორებულ იქნა. ასევე, გათვალისწინებულ იქნა ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაცია, დაშვების წინაპირობებთან მიმართებით, ყველა საგანმანათლებლო პროგრამაზე მიეთითა დაშვების დონე. ძირითად ლიტერატურაში მითითებულ იქნა აკადემიური პერსონალის მიერ შემუშავებული ჰენდაუთები, აღნიშნული ეხებოდა ძირითად ლიტერატურაში ქართულენოვანი ლიტერატურის არ არსებობას.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ცვლილება განიცადა სადოქტორო პროგრამის სახელწოდებამაც. ჩატარდა შეხვედრა აკადემიურ პერსონალთან და სტუდენტებთან, რომლის ფარგლებშიც ცალსახად განმარტებულ იქნა, რომ საბოლოო გამოცდაზე გასასვლელად საკაკმარისი იყო 11 ქულა და არა 31. ამასთან, გამოიკვია რომ არცერთ სტუდენტს არ შექმნია ფინანსური ხასიათის პრობლემა, 31 ქულის გამო საგნის ხელმეორედ გავლის მიზეზით.

თამარ ზარანდია დაინტერესდა, რეალურად იყო თუ არა დაწესებულებაში ისეთი პრაქტიკა, რომლის დროსაც სტუდენტი ფინალურ გამოცდაზე დაიშვებოდა მხოლოდ 31 ქულის მოგროვების პირობით.

დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, ასეთი პრაქტიკა მართლაც არსებობდა დაწესებულებაში, რომელიც გამოსწორებულ იქნა. თუმცა, მისი თქმით, ამ მიზეზით არცერთ სტუდენტს არ გაუვლია საგანი ხელმეორედ. სტუდენტი იმ შემთხვევაში გადიოდა საგანს ხელმეორედ, თუ 11 ქულაც არ ჰქონდა მოგროვებული ფინალურ გამოცდამდე.

ექსპერტის, მარიამ დარბაიძის განცხადებით, ინტერვიუებისას დაწესებულების რამოდენიმე სტუდენტმა და ერთმა კურსდამთავრებულმა აღნიშნეს ის ფაქტი, რომ მათ 31 ქულის ვერ მოგროვების მიზეზით საგანი ხელმეორედ გაიარეს.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ მოხდა უწყისების შემოწმება და ამ მიზეზით არცერთ სტუდენტს არ შექმნია პრობლემა.

საბჭოს წევრმა, თამარ ზარანდიამ კითხვით მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, გაითვალისწინა თუ არა დაწესებულებამ ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაცია, სასწავლო ბაღეში არჩევითი სასწავლო კურსების ჩასმასთან დაკავშირებით.

დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ აღნიშნული რეკომენდაციაც გაითვალისწინა დაწესებულებამ და სასწავლო გეგმით არჩევითი სასწავლო კურსების შეთავაზებაც მოხდებოდა სტუდენტებისათვის.

საბჭოს წევრი, კონსტანტინე სირბილაძე დაინტერესდა, თუ რაში იხარჯებოდა დაწესებულების ბიუჯეტის 15 პროცენტი, რომლებიც კვლევებისთვის უნდა იყოს გამოყოფილი.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ბიუჯეტიდან დაახლოებით 150 000 ლარი იყო გამოყოფილი კვლევებისათვის და აღნიშნული თანხით ხდებოდა სამაგისტრო პროგრამების ფარგლებში ჩატარებული კვლევების დაფინანსება, სამომავლოდ კი როდესაც დაწესებულებაში დაიწყებოდა სადოქტორო კვლევების ჩატარება, მათთვისაც მოხდებოდა ფინანსების გამოყოფა. ამ ეტაპზე დაწესებულების მიერ არაერთი წიგნი და პუბლიცისტიკა არის გამოცემული.

კონსტანტინე სირბილაძე დაინტერესდა, ჰქონდა თუ არა დაწესებულებას შესაბამისი ბაზა კვლევების ჩასატარებლად.

დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ ფარმაცოლოგიის ინსტიტუტში მოხდებოდა კვლევების ჩატარება სადოქტორო პროგრამის ფარგლებში, ქალბატონ ეთერ ქემერტელიძესთან ერთად პროგრამის განხორციელებაში 6-7 ადამიანი იყო ჩართული.

საბჭოს წევრი, კონსტანტინე სირბილაძე დაინტერესდა, გეგმავდა თუ არა დაწესებულება თურქოლოგიის მიმართულებით, სადოქტორო პროგრამის განხორციელებას.

დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელის, ეთერ ქემერტელიძის თხოვნა იყო თავდაპირველად სადოქტორო პროგრამა ფარმაციისა და ტრადიციული მედიცინის მიმართულებით განხორციელებულიყო.

საბჭოს თავმჯდომარე, მანანა მიქაბერიძე დაინტერესდა, გაითვლისწინა თუ არა დაწესებულებამ ექსპერტთა რეკომენდაცია, საგანმანათლებლო პროგრამაში დასაქმების სფეროების განსაზღვრასთან დაკავშირებით.

დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ აღნიშნული რეკომენდაცია გათვალისწინებულ იქნა და ერთ-ერთ პოტენციურ დამსაქმებელთან ხელშეკრულებაც გაფორმდა.

საბჭოს წევრი, თამარ ზარანდია დაინტერესდა ჰყავდა თუ არა დაწესებულებას კურსდამთავრებულები და რამდენი აქტიური სტუდენტი ერიცხებოდათ ამჟამად.

დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ დაწესებულებას სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განსაზღვრული ჰქონდა 550-ით, რომელთაგან ამჟამად 123 აქტიური სტატუსის მქონე სტუდენტი ჰყავდათ და 300-მდე კურსდამთავრებული.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის, გიორგი რამიშვილის განცხდებით, ამჟამად დაწესებულებაში 350 სტუდენტისათვის სამყოფი სკამი იყო განლაგებული.

დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, დაწესებულებას სურდა კვლავ 550 სტუდენტით განესაზღვრა საბჭოს სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა. სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების განხორციელება მოხდებოდა დღის მეორე ნახევარში. ამასთან, გასათვალისწინებელი იყო ის ფაქტიც, რომ დაწესებულებას ჰქონდა ასათვისებელი მატერიალური რესურსი, სარემონტო ფართი და დასაწყობებული სკამები და მერხები.

საბჭოს სხდომაზე 17:58 საათზე გამოცხადდა შესვენება. საბჭოს სხდომა განახლდა 18:28 საათზე.

საბჭოს თავმჯდომარემ, მანანა მიქაბერიძემ კითხვით მიმართა საბჭოს წევრებს, ჰქონდათ თუ არა შეკითხვები ექსპერტთა ჯგუფის წევრებისა და დაწესებულების წარმომადგენლების მიმართ.

საბჭოს წევრი, თამარ ზარანდია დაინტერესდა, თუ რომელ მარეგულირებელ აქტში ჰქონდა დაწესებულებას გაწერილი საგანმანათლებლო პროგრამების დამტკიცების წესი, რაზეც დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ დაწესებულების შინაგანაწესში იყო გაწერილი ეს საკითხი. კერძოდ, მე-19 მუხლში, რომელიც არეგულირებს რექტორის უფლება-მოვალეობებს, გაწერილი იყო, რომ საგანმანათლებლო პროგრამებს რექტორი ამტკიცებდა. საგანმანათლებლო პროგრამას შესაბამისი ფაკულტეტი შეიმუშავებდა, შემდეგ ხარისხის სამსახური ხვეწდა მას და საბოლოო ჯამში რექტორი ამტკიცებდა მას. ექსპერტთა ჯგუფის შენიშვნა, შეეხებოდა სწორედ დამტკიცების ფორმას. მან ასევე აღნიშნა, რომ საგანმანათლებლო პროგრამების დამტკიცების აქტი შემუშავებული ჰქონდათ და წარმოადგენდნენ საბჭოს სხდომაზე.

საბჭოს თავმჯდომარემ, მანანა მიქაბერიძემ კითხვით მიმართა ექსპერტთა ჯგუფს, საბჭოს სხდომაზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ საგანმანათლებლო პროგრამების დამტკიცების აქტს თუ გაეცნენ. ექსპერტების თქმით, აღნიშნული აქტი ვიზიტის პროცესში არ წარმოდგენილა დაწესებულების მიერ და ის მხოლოდ საბჭოს სხდომაზე იხილეს და შესაბამისად, არ ჰქონიათ დრო მის გასაცნობად.

საბჭოს თავმჯდომარემ, მანანა მიქაბერიძემ მიმართა ექსპერტთა ჯგუფს და განაცხდა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა იყო საკმაოდ მკაცრი, ხოლო საბჭოს სხდომაზე ექსპერტებმა ის წარადგინეს განსახვავებული კუთხით. მისი თქმით, ექსპერტები უნდა ყოფილიყვნენ უფრო თანმიმდევრულები და ობიექტურად წარედგინათ დასკვნები საბჭოს სხდომაზე. საბჭოს წევრებმა გაიზიარეს საბჭოს თავმჯდომარის პოზიცია.

ექსპერტის, თამარ გაიხარაშვილის განმარტებით, ექსპერტთა ჯგუფმა საბჭოს სხდომაზე წარადგინა დასკვნაში დაფიქსირებული გარემოებები და ასევე, ის ფაქტები, რაც ვიზიტის პროცესში გამოვლინდა და ვერ მოხერხდა დასკვნაში მათი ასახვა, როგორცაა მაგალითად, აკადემიური პერსონალისა და სტუდენტთა განწყობა.

დაწესებულების წარმომადგენელმა სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის განსაზღვრა მოითხოვა 350-ით. აღნიშნულ მოსაზრებას დაეთანხმნენ ექსპერტებიც.

2. 2/11/14

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმინდა თამარ მეფის სახელობის უნივერსიტეტის ავტორიზაციისა და სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 350-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე- 5

წინააღმდეგი- 1


გადაწყვეტილებას მხარი არ დაუჭირა გრიგოლ მურღულიამ.

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 56²-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 56³-ე მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 25-ე მუხლის შესაბამისად, ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმინდა თამარ მეფის სახელობის უნივერსიტეტს (საიდენტიფიკაციო კოდი: 204577582) 5 წლის ვადით მიენიჭოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი (უნივერსიტეტი) და სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 350-ით.

საბჭოს თავმჯდომარემ განმარტა, რომ საბჭო შუამდგომლობით მიმართავდა ცენტრს დაწესებულებაში განხორციელებინა მონიტორინგის ჯგუფის ვიზიტი და გადაემოწმებინა, რამდენად გამოასწორა დაწესებულებამ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში დაფიქსირებული შენიშვნები. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ცენტრს, რომ მონიტორინგის ჯგუფის ვიზიტი განხორციელებულიყო ოქმისა და გადაწყვეტილების გამოქვეყნებიდან 2 თვის ვადაში.

საბჭოს წევრის, თამარ ზარანდიას განმარტებით, მისი და ზოგადად საბჭოს დადებითი გადაწყვეტილება გამომდინარეობდა მაღალი საჯარო ინტერესიდან, კერძოდ, სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალის ინტერესებიდან.



4. ა(ა)იპ - ახალი საქართველოს უნივერსიტეტის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასების კითხვარსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების კითხვარი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, ლაშა მარგიშვილმა განცხადება გააკეთა განსახილველ საკითხებთან დაკავშირებით. მან აღნიშნა, რომ „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 89^ე მუხლის თანახმად, საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის მიერ „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე დაფუძნებული მართლმადიდებლური საღვთისმეტყველო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები 2015 წლის 1 იანვრამდე ითვლებიან ავტორიზებულად.

2015 წლის 1 იანვრიდან აღნიშნული მართლმადიდებლური საღვთისმეტყველო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები ექვემდებარებიან ავტორიზაციას საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით. ამასთან, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 56^{-ე} მუხლის თანახმად, ის დაწესებულებები, რომლებიც ახორციელებენ მხოლოდ საღვთისმეტყველო საგანმანათლებლო პროგრამებს, ავტორიზაციასა და საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციას გადიან საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილი განსხვავებული წესის შესაბამისად. ავტორიზაციის განსხვავებული წესი დადგენილია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 16 აგვისტოს №135/ნ ბრძანებით. ლაშა მარგიშვილის განმარტებით, ავტორიზაციის პროცედურის განსხვავებული წესი გულისხმობდა, დაწესებულების მიერ წარმოდგენილი მასალების საფუძველზე ექსპერტთა მიერ დასკვნების შემუშავებას. აღნიშნული წესის თანახმად, საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის დასაბუთებული წარდგინების საფუძველზე საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო იღებს გადაწყვეტილებას ავტორიზაციის შესახებ იმ დაწესებულებისათვის, რომელიც ახორციელებს მხოლოდ საღვთისმეტყველო საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამებს. ამასთან, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული იყო ის პროგრამები, რომელთა განხორციელების უფლებამოსილებაც გააჩნიათ ზემოაღნიშნულ დაწესებულებებს.

მართლმადიდებლური საღვთისმეტყველო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება უფლებამოსილია განახორციელოს შემდეგი საგანმანათლებლო პროგრამები:

- ა) თეოლოგიის საგანმანათლებლო პროგრამა;
- ბ) ხატწერის საგანმანათლებლო პროგრამა;
- გ) საეკლესიო არქიტექტურის (ხუროთმოძღვრების) საგანმანათლებლო პროგრამა;
- დ) საეკლესიო მუსიკისა და საეკლესიო მუსიკათმცოდნეობის საგანმანათლებლო პროგრამა;
- ე) ქრისტიანული ფსიქოლოგიის საგანმანათლებლო პროგრამა;
- ვ) ქრისტიანული ხელოვნებათმცოდნეობის საგანმანათლებლო პროგრამა;
- ზ) დაზგური და მონუმენტური ხატწერის რესტავრაციის საგანმანათლებლო პროგრამა;
- თ) ქრისტიანული ფილოსოფიის საგანმანათლებლო პროგრამა.

ექსპერტთა ჯგუფმა წარადგინა დასკვნა საბჭოს წინაშე. ჯგუფის ხელმძღვანელმა, ანა კლდიაშვილმა ისაუბრა რეკომენდაციებზე, რომელიც წარმოდგენილი იყო დასკვნაში. დაწესებულებას ავტორიზაციის ვიზიტის დროს წარმოდგენილი ჰქონდა 3 საგანმანათლებლო პროგრამა, ბაკალავრიატის (თეოლოგია), მაგისტრატურის (ქრისტიანული ფილოსოფია) და დოქტორანტურის (ქრისტიანული ფილოსოფია) საფეხურზე. პირველი რეკომენდაცია ეხებოდა სამაგისტრო პროგრამას. პროგრამის სასწავლო გეგმაში წარმოდგენილი თვრამეტივე ხუთკრედიტიანი სასწავლო კურსი სავალდებულო იყო. ექსპერტების რეკომენდაციით, სასურველი იყო სავალდებულო კურსების გარდა, არჩევითი სასწავლო კურსებიც ყოფილიყო წარმოდგენილი.

ექსპერტებს ჰქონდათ ასევე რეკომენდაციები დოქტორანტურის პროგრამასთან დაკავშირებით. პროგრამაში არ იყო განსაზღვრული სადოქტორო ნაშრომის შეფასების კრიტერიუმები, რა კომპონენტებისგან შედგებოდა და როგორ ნაწილდებოდა ის 100 ქულა, რომლითაც ფასდებოდა სადოქტორო ნაშრომი.

დაწესებულების წარმომადგენელმა დააფიქსირა საკუთარი პოზიცია ექსპერტების მიერ გამოთქმულ შენიშვნებთან დაკავშირებით. საღვთისმეტყველო დაწესებულებებს, კანონის ფარგლებში ჰქონდათ განსაზღვრული, რა პროგრამების განხორციელება შეეძლოთ, შესაბამისად აღნიშნული საგანმანათლებლო პროგრამები მართმადიდებლურ დოგმატიკაზე იყო აგებული; რაც გულისხმობდა, რომ დაწესებულებას ეკლესიისათვის უნდა მოემზადებინა ღვთისმსახურები, რომელთაც შესწავლილი უნდა ჰქონოდათ პროგრამით გათვალისწინებული ყველა სასწავლო კურსი, რომელიც უზრუნველყოფდა პროგრამის შედეგებზე გასვლას.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, ლაშა მარგიშვილმა დამატებით განმარტება გააკეთა იმასთან დაკავშირებით, რომ 2014 წელს ავტორიზაცია გაიარა ექვსმა საღვთისმეტყველო უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებამ, რომელთაც იდენტური მოსაზრება გააჩნდათ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, პროგრამების სპეციფიკიდან გამომდინარე.

საბჭოს წევრმა, ნინო ჩინჩალაძემ დატოვა სხდომა 18:50 საათზე.

ყველა სასწავლო კურსის სავალდებულოდ ჩასმასთან დაკავშირებით, საბჭოს წევრმა, გია მურღულიამ მაგალითად მოიყვანა სახარება. მისი აზრით, თუ ვთქვათ, ისწავლებოდა სახარება, შესაძლებლობა იქნებოდა, დაწესებულებას ჰქონოდა არჩევითი კურსები და ესწავლებინა იოანე ოქროპირი ან ნეტარი აუგუსტინე და ა.შ... პროგრამები მართალია მართმადიდებლურ დოგმატიკაზე იყო აგებული, მაგრამ ეს სულაც არ გამორიცხავდა ფორმალური მოთხოვნების დაცვას - არჩევითი საგნების არსებობას.

დაწესებულების წარმომადგენლების განმარტებით, აღნიშნული საკითხი წარმოადგენდა აკადემიური პერსონალისა და სასულიერო პირების განხილვის საგანს. მათი თქმით, რადგან ეს საკითხი საბჭოს სხდომაზე დღის წესრიგში დადგა, აუცილებლად განიხილავდნენ კიდევ ერთხელ აღნიშნულ რეკომენდაციას.

საბჭოს თავმჯდომარე, მანანა მიქაბერიძე დაინტერესდა დაწესებულების წარმომადგენლების პოზიციით შეფასების კრიტერიუმების თაობაზე, რომელის ეხებოდა დოქტორანტურის პროგრამას. დაწესებულების განმარტებით, მათ სილაბუსებს გადახედეს და როგორც აღმოჩნდა შეფასების კრიტერიუმები ჩაშლილი იყო, მაგრამ ცალკე გრაფაში - შეფასების მეთოდებსა და კრიტერიუმებში. ექსპერტის განმარტებით, შეფასების კომპონენტები ჩაშლილი იყო, თუმცა კრიტერიუმები არ იყო განსაზღვრული. საბჭოს თავმჯდომარემ ასევე ისაუბრა საბოლოო ნაშრომის შეფასების კრიტერიუმებზე და სთხოვა დაწესებულების წარმომადგენლებს განემარტათ აღნიშნული საკითხი. დაწესებულების განმარტებით, საბოლოო ნაშრომის შეფასების კრიტერიუმები გაწერილი იყო სადისერტაციო ნაშრომის დებულებაში. ნაშრომის ფასდებოდა 100 ქულით, აქედან 60 ქულით ფასდებოდა ხელმძღვანელის მიერ



და 40 ქულით - სადისერტაციო საბჭოს მიერ. თუმცა ეს ინფორმაცია არ ასახავდა კრიტერიუმებს, რაზედაც დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ კრიტერიუმები ასევე გაწერილი იყო წესდებაში და სადისერტაციო საბჭოს დებულებაში. ექსპერტის აზრით, სასურველი იყო აღნიშნული კრიტერიუმი გაწერილი ყოფილიყო ასევე სილაბუსში.

საბჭოს წევრმა, გია მურდულიამ დამატებით ასევე ისაუბრა დაწესებულების მისიის შესახებ. დაწესებულების მისია და ამოცანები არეული იყო ერთმანეთში, რაც ასევე საჭიროებდა დახვეწას. საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა დაწესებულების ვებგვერდით, რომლიდანაც შეუძლებელი იყო ინფორმაციის მიღება უნივერსიტეტის შესახებ. დაწესებულების წარმომადგენლების განმარტებით, ტექნიკური ჯგუფი მუშაობდა საიტზე ამიტომ დროებით არ იყო შესაძლებელი ინფორმაციის ნახვა.

საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა სტუდენტთა საერთო რაოდენობით. დაწესებულებას ჰყავდა 23 სტუდენტი, რომელთაც სტატუსი ჰქონდათ შეჩერებული და ავტორიზაციის ფარგლებში ითხოვდნენ ზღვრული რაოდენობის 500 სტუდენტით განსაზღვრას.

საბჭოს წევრებმა მოსთხოვეს დაწესებულების წარმომადგენლებს, დაესაბუთებინათ მათი მოთხოვნა სტუდენტების ზღვრულ რაოდენობასთან დაკავშირებით. დაწესებულების წარმომადგენლების განმარტებით, მათი მატერიალური რესურსი უზრუნველყოფდა 500 სტუდენტის მიღებას. შენობის ფართი წარმოადგენდა 1556 კვ. მეტრს, აქედან 912 კვ. მეტრი ეკუთვნოდა აუდიტორიებს. აღნიშნულისა და იმის გათვალისწინებით, რომ სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამებზე ლექციები გაიმართებოდა დღის მეორე ნახევარში, დაწესებულებას სურდა 500 სტუდენტის მიღება. აღნიშნულთან დაკავშირებით, საბჭოს თავმჯდომარემ ხაზი გაუსვა აკადემიური პერსონალის რაოდენობას დაწესებულებაში. უნივერსიტეტს ჰყავდა მხოლოდ 6 სრული და 5 ასოცირებული პროფესორი.

ლამა მარგიშვილის განმარტებით, რადგან ავტორიზაციის სტანდარტები საღვთისმეტყველო დაწესებულებებს არ ეხებოდათ, შესაბამისად საბჭოს ჰქონდა უფლება, გაეცა რეკომენდაცია და მიეღო საბოლოო გადაწყვეტილება თუმცა სტანდარტს დაწესებულება არ არღვევდა, ვინაიდან ისინი განსხვავებული წესით გადიოდნენ ავტორიზაციის პროცედურას.

დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, არსებობდა მოთხოვნა, რომ ბაკალავრის ხარისხის მქონე პირებს გაეგრძელებინათ სწავლა და არსებობდა ასევე საერთო აზრი, იმის შესახებ, რომ სასულიერო პირი მაგისტრის ხარისხის მქონე უნდა იყოს. აქედან გამომდინარე, უნივერსიტეტს აუცილებლად ექნებოდა კონტინგენტის შესაბამისი მოთხოვნა სწავლებაზე. დაწესებულების დამატებით დადებით მხარედ ითვლებოდა ასევე ის, რომ ის უფასოდ სთავაზობდა სტუდენტებს სწავლებას.

საბჭოს წევრის, კონსტანტინე სირბილამის განცხადებით, 250 სტუდენტი იქნებოდა ლოგიკური რაოდენობა. საბჭოს წევრის, გია მურდულიას აზრით, დაწესებულებას 200 სტუდენტზე მეტი არ უნდა მიეღო. დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, შედგა შეხვედრა სასულიერო პირებთან, გრემის, ბათუმისა და გელათის სასულიერო აკადემიიდან, რომელთა სტუდენტებს სურვილი ჰქონდათ სწავლა გაეგრძელებინათ აღნიშნულ დაწესებულებაში. შესაბამისად სტუდენტთა ზღვრული რაოდენობაც აქედან გამომდინარეობდა.

საბოლოოდ, საბჭოს წევრებმა შესთავაზეს დაწესებულების წარმომადგენელს, სტუდენტების ზღვრული რაოდენობის 250-ით განსაზღვრა. დაწესებულების წარმომადგენელმა უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან პოზიციის შეთანხმების მიზნით, მოითხოვა შესვენების გამოცხადება.

საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა შესვენება 19:21 საათზე.

საბჭოს სხდომა განახლდა 19:23 საათზე.

დაწესებულების წარმომადგენელმა შუამდგომლობით მიმართა საბჭოს წევრებს, რომ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განსაზღვრულიყო 300-ით.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ - ახალი საქართველოს უნივერსიტეტის ავტორიზაციისა და სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 300-ით განსაზღვრის საკითხი.


კენჭისყრის შედეგები:

მომხრე- 5

წინააღმდეგი- 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 16 აგვისტოს №135/ნ ბრძანებით დამტკიცებული „მხოლოდ საღვთისმეტყველო საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი დაწესებულების ავტორიზაციის წესის“ მე-2 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 25-ე მუხლის შესაბამისად, ა(ა)იპ - ახალ საქართველოს უნივერსიტეტს (საიდენტიფიკაციო კოდი: 215149248) 5 წლის ვადით მიენიჭოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი (უნივერსიტეტი) და სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 300-ით.



5. ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს ახალციხის წმინდა გრიგოლ ხანძთელის სახელობის სასულიერო სემინარიის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასების კითხვარსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების კითხვარი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ლაშა მარგიშვილმა აღნიშნა, რომ მოცემული დაწესებულებაც გეგმავდა მხოლოდ საღვთისმეტყველო საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებას.

ექსპერტთა დასკვნა საბჭოს წინაშე წარადგინა ექსპერტთა ჯგუფის წევრმა, თამარ შუდრამ.

ექსპერტებმა ვიზიტის დროს შეამოწმეს წარმოდგენილი დოკუმენტაცია და მასზე დაყრდნობით, წარმოადგინეს დასკვნა. დაწესებულებას წარმოდგენილი ჰქონდა საგანმანათლებლო პროგრამა, მატერიალური რესურსების ამსახველი დოკუმენტაცია და აკადემიურ პერსონალთან გაფორმებული ხელშეკრულებები. ექსპერტმა რამოდენიმე საკითხზე გაამახვილა ყურადღება, კერძოდ მარეგულირებელ დოკუმენტაციაში - შინაგანაწესში - დაწესებულებას მითითებული ჰქონდა, რომ დადებითი შეფასების მიუხედავად, დასკვნით გამოცდაზე გასვლის ვალდებულების განსაზღვრის უფლება ჰქონდა სემინარიის აკადემიურ/მოწვეულ პერსონალს. ექსპერტთა განმარტებით, მიზანშეწონილი იქნებოდა დაწესებულების შინაგანაწესს დამატებოდა ჩანაწერი, რომლითაც, დასკვნით გამოცდაზე გასვლის ვალდებულების საკითხი დადგინდებოდა ყველა სასწავლო კურსისათვის ერთიანად. ამასთან, პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგები ცალკეულ შემთხვევაში საჭიროებდა დაზუსტებას. კერძოდ:

ა) ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარის ქუდის ქვეშ მითითებული იყო მაგ: „სპეციალური სამეცნიერო ლიტერატურის კითხვა და გააზრება“, რაც დასკვნის უნარს წარმოადგენდა.

ბ) დასკვნის უნარის ქუდის ქვეშ მითითებული იყო „ცივილური ფორმებით წარმართვისათვის რელიგიურ, კულტურულ, ისტორიულ თუ სხვა საკითხთა განხილვისას, სხვადასხვა ეთნიკურ თუ კონფესიურ წარმომადგენლობებსა და ცალკეულ პირებთან ურთიერთობების უნარ-ჩვევები“; აღნიშნული უნარების ფლობა, წარმოადგენდა კომუნიკაციის უნარს.

გ) დასკვნის უნარის ქუდის ქვეშ მითითებული იყო „კონფერენციების, სიმპოზიუმების თუ სხვადასხვა ოფიციალური და არაოფიციალური შეხვედრების მომზადებისა და მიმდინარეობის პროცესში რელიგიური ფაქტორის გათვალისწინება“. აღნიშნული უნარი წარმოადგენდა ღირებულებას.

შინაგანაწესის მიხედვით, ასევე სტუდენტს უფლება ჰქონდა აკადემიური მოუსწრებლობის გამო განმეორებით გაეცლო სასწავლო კურსი სემესტრის დაწყებამდე ერთი თვის განმავლობაში. „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის“ შესაბამისად კი სასწავლო კურსის გავლა უნდა განხორციელებულიყო ერთი სემესტრის განმავლობაში. შესაბამისად, ექსპერტთა აზრით, აღნიშნული პერიოდი უნდა გაზრდილიყო ერთ სემესტრამდე.

შინაგანაწესის მე-11 მუხლი ითვალისწინებდა სტატუსის შეჩერების 5 წლიან ვადას, თუმცა აგრეთვე იყო ჩანაწერი „აკადემიური შვებულების“ შესახებ, რომელიც არ უნდა ყოფილიყო 3 წელზე მეტი. აკადემიური შვებულების ცნება საქართველოს კანონმდებლობაში უკვე აღარ არსებობს, ამასთან ის შინაარსობრივად გულისხმობდა სტუდენტის სტატუსის შეჩერებას, რომლის მაქსიმალური ვადაა 5 წელი.

დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, ექსპერტების მიერ დასკვნაში ასახული ყველა შენიშვნა გათვალისწინებული იქნა, გარდა შეფასების წესისა, რადგან საჭიროდ ჩათვალეს, აკადემიური პერსონალი არ შეეზღუდათ ფორმალური წესებით და არჩევანი დაეტოვებინათ სტუდენტებისა და ლექტორებისათვის, დასკვნით გამოცდაზე გასვლის ვალდებულების შესახებ.

ექსპერტის, თამარ შუდრას განმარტებით, კონკრეტული ლექტორის მიდგომაზე არ უნდა ყოფილიყო დამოკიდებული სტუდენტის ბედი. ამიტომ დაწესებულება ვალდებული იყო, შეემუშავებინა ერთიანი წესი, რეგულაცია აღნიშნულის შესახებ. სტუდენტი ასევე ინფორმირებული უნდა ყოფილიყო წინასწარ, საბჭოს თავმჯდომარემ ასევე აღნიშნა, რომ არსებობდა დამატებითი პრობლემა ვებგვერდის გაუმართაობასთან დაკავშირებით. დაწესებულების განმარტებით, სემინარია იმყოფებოდა მამათა მონასტრის ბაზაზე, სადაც ფაქტობრივად არ სარგებლობდნენ ვებგვერდითა და ინტერნეტით, თუმცა დაწესებულება გათვალისწინებდა ექსპერტების შენიშვნას და ამ საკითხზე მუშაობა უკვე დაწყებული იყო. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაწესებულების წარმომადგენლებს, გამოსწორებული იყო თუ არა ექსპერტების მიერ სწავლის შედეგებთან დაკავშირებული შენიშვნები. დაწესებულების წარმომადგენლების განმარტებით, შენიშვნები გათვალისწინებული იყო, თუმცა გამოსწორებული დოკუმენტურად ცენტრში არ წარმოუდგენიათ.

დაწესებულების წარმომადგენელმა მოითხოვა სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 150-ით განსაზღვრა. დაწესებულებაში მზადდებოდა ასევე პროგრამა ქრისტიანული ხელოვნებათმცოდნეობის შესახებ და ამიტომაც სურდა დაწესებულებას 150 სტუდენტის მიღება.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს ახალციხის წმინდა გრიგოლ ხანძთელის სახელობის სასულიერო სემინარიის ავტორიზაციისა და სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 150-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე- 5

წინააღმდეგი- 0


გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 16 აგვისტოს №135/ნ ბრძანებით დამტკიცებული „მხოლოდ საღვთისმეტყველო საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი დაწესებულების ავტორიზაციის წესის“ მე-2 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 25-ე მუხლის შესაბამისად, ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს ახალციხის წმინდა გრიგოლ ხანძთელის სახელობის სასულიერო სემინარიას (საიდენტიფიკაციო კოდი: 424069242) 5 წლის ვადით მიენიჭოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი (კოლეჯი) და სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 150-ით.

დღის წესრიგით გათვალისწინებული ყველა საკითხის განხილვის შემდგომ 19:55 საათზე საბჭოს სხდომა დახურულად გამოცხადდა.

თავმჯდომარე

მანანა მიქაბერიძე



მდივანი

ანანო გიორგაძე

